ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის სხდომის ოქმი №31

22 იანვარი, 2024 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2
16:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:
კახაბერ ლაბუჩიძე, ზურაბ ჩიკვილაძე, თინათინ ნიბლოშვილი, ნათია მოდებაძე და ნინო კვიტაიშვილი.

სხდომის თავმჯდომარე: კახაბერ ლაბუჩიძე
თანამდებობა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე.

სხდომის დღის წესრიგი:

1. საკითხი: ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს“ 2023 წლის საქმიანობის ანგარიში და სამომავლო გეგმების შესახებ ინფორმაციის მოსმენა.
მომხსენებელი: კახა აბულაძე
თანამდებობა: ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს“ დირექტორი.

განათლებისა და კულტურის კომისიის წევრთა მიერ ერთხმად მოწონებულ და დამტკიცებულ იქნა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარე, კახაბერ ლაბუჩიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და წარადგინა **დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხი.**
კახაბერ ლაბუჩიძემ სიტყვა გადასცა ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს“ დირექტორს კახა აბულაძეს.
თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორმა თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარესა და კომისიის წევრებს საანგარიშო პერიოდში ჩატარებული ღონისძიებების, მიმდინარე პროექტების და მიმდინარე რეაბილიტაცია – სარესტავრაციო სამუშაოების შესახებ ანგარიში გააცნო.

კახა აბულაძემ ანგარიში პრეზენტაციის ფორმატში წარმოადგინა და დეტალურად ისაუბრა თბილისის სხვადასხვა რაიონში ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ. მისი განცხადებით, 2023 წელს რამდენიმე ბაგა-ბაღს ჩაუტარდა რეაბილიტაცია, ხოლო 64-ე, 89-ე, 108-ე; 125-ე და 130-ე საბავშვო ბაგა-ბაღების მშენებლობა დასრულდა. ანგარიშის წარდგენისას

კახა აბულაძემ ყურადღება გაამახვილა ბაღების განახლების პროექტზე, რომლის ფარგლებში, მასშტაბური სარემონტო/სარეაბილიტაციო სამუშაოები დაფინანსდა თბილისის რვა საბავშვო ბაღში. მისი თქმით, პროექტის მიზანია ყველა ძველი და ახალაშენებული საჯარო საბავშვო ბაღის აღსაზრდელებისთვის მომსახურების თანაბარ პირობებში გაწევა.

კომისიის სხდომაზე აღნიშნეს, რომ თბილისის ყველა საბავშვო ბაგა-ბაღში დაინერგა სურსათის უვნებლობის მართვის საერთაშორისოდ აღიარებული, საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების სისტემის (HACCP) სტანდარტი. აღნიშნული სტანდარტის დანერგვის მიზნით, 156 საბავშვო ბაგა-ბაღში განხორციელდა სარემონტო სამუშაოები; სამზარეულოები და სამეურნეო დანიშნულების ოთახები/სათავსოები აღიჭურვა ახალი ტექნიკით და ინვენტარით. კოვიდ პანდემიით გამოწვეული ორწლიანი პაუზის შემდეგ, განახლდა საზაფხულო ბაღების პროექტი, რის შედეგადაც 2023 წლის ივლისში დედაქალაქში 45 საბავშვო ბაღი ფუნქციონირებდა.

კახა აბულაძის განმარტებით საერთაშორისო ორგანიზაცია SAVE THE CHILDREN-ის მიერ პროგრამა HEART-ის (Healing and Education through Arts) მიხედვით გადამზადდა 150 აღმზრდელი, HACCP-ის სტანდარტების დანერგვის პროცესში, საჭირო გადამზადების კურსი გაიარა შესაბამისმა პერსონალმა. გარდა ამისა, 2023 წელს გაგრძელდა საერთაშორისო ორგანიზაცია SAVE THE CHILDREN-ის მხარდაჭერით დაწყებული ჰუმანიტარული პროექტი თბილისის №1 და №93 საბავშვო ბაღებში. №1 ბაღში კვლავ ფუნქციონირებს „საბავშვო სივრცე“ უქმეებზე, ხოლო №93 ბაგა-ბაღში ე.წ. “Preschool“. ორივე პროექტი ითვალისწინებს სკოლამდელი განათლების უკრაინულ ენაზე წარმართვას.

კახა აბულაძემ ისაუბრა სააგენტოში განხორციელებულ სიახლეებზე, კერძოდ: შეიცვალა რეგისტრაციის წესი, დაემატა პრიორიტეტული ჯგუფები, რეგისტრაცია გახდა 3-ეტაპიანი. თბილისის საჯარო ბაღებში დაიწყო ავტორიზაციის პროცესი. ყველა მოქმედმა საჯარო ბაღმა დაასრულა თვითშეფასების ეტაპი, რაც გათვალისწინებულია სახელმწიფო კანონმდებლობით. ყველა ბაღს ემსახურება მულტიდისციპლინური გუნდი – მეთოდისტი სპეცპედაგოგი, ფსიქოლოგი, ლოგოპედი, ჯანმრთელობის კოორდინატორი. განისაზღვრა პერსონალური ასისტენტის დანიშვნის წესი სსსმ და შშმ აღსაზრდელებისათვის.

თბილისის ყველა საჯარო ბაგა-ბაღს ახალი სააღმზრდელო წლის დაწყებისათვის, დაუფინანსდება მასშტაბური გასართობი ღონისძიებების ორგანიზება. ყველა საჯარო ბაღს დაუფინანსდა საახალწლო ღონისძიებების ორგანიზებისათვის საჭირო ხარჯები. თბილისის ყველა საჯარო ბაღში დასაქმებულ 11 188 თანამშრომელს 2024 წლის იანვრიდან 15 %-ით გაეზარდა ანაზღაურება. 2024 წლის პირველი იანვრიდან საჯარო ბაღები გადავიდა ხაზინის ერთიან სისტემაზე, რის საფუძველზეც საჯარო ბაღებზე გავრცელდა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონი.

დღის წესრიგის საკითხთან დაკავშირებით მოსაზრება გამოთქვეს:

კახაბერ ლაბუჩიძემ, ზურაბ ჩიკვილაძემ და ნინო კვიტაიშვილმა.

კახაბერ ლაბუჩიძემ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს საქმიანობაში წარმატებები უსურვა.

ზურაბ ჩიკვილაძეს განმარტებით მისასალმებელი და საამაყოა ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს“ მხარდაჭერა უკრაინელი ბავშვებისადმი.

აგრეთვე გამოთქვა სურვილი ჩუღურეთის რაიონში 132-ე ბაგა-ბაღის აღდგენასთან დაკავშირებით განხორციელდეს შესაბამისი პროცედურები.

ნინო კვიტაიშვილი დაინტერესდა, თუ განიხილებოდა დიდ დიღომში ახალი ბაგა-ბაღების მშენებლობა, რომელზეც კახა აბულაძემ უპასუხა, რომ დიდი დიღმის ტერიტორიაზე ამ ეტაპისთვის ვერ იქნა მოძიებული საკმარისი ფართობის ტერიტორია, რომელიც დააკმაყოფილებდა ბაგა-ბაღის მშენებლობისთვის დადგენილ სტანდარტებს. ნინო კვიტაიშვილი ასვე დაინტერესდა, თუ რა ტიპის პრობლემები გამოავლინა თვითშეფასებამ, განსაკუთრებით კვალიფიკაციის ნაწილში, რომელზეც სააგენტოს დირექტორმა უპასუხა, რომ პრობლემები ძირითადად გამოვლინდა ინფრასტრუქტურულ ნაწილში, რაც შეეხება თანამშრომელთა კვალიფიკაციას, მისი განმარტებით განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შექმნა პედაგოგთა გადამზადების პროფესიული მოდული, რომლის გავლის შემდგომ შესაძლებელი შესაძლებელი იქნება იმ ხარვეზების წარმოჩენა, რაც კვალიფიკაციის ნაწილში არსებულ გამოწვევებს შეეხება.

განათლებისა და კულტურის კომისიამ, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვისა და მსჯელობის შედეგად ცნობად მიიღო ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს“ საქმიანობის წარმოდგენილი ანგარიში.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: კახაბერ ლაბუჩიძე

მოამზადა: ირაკლი შამათავა

თბილისის საბავშვო ბაღი-ბალეების მართვის სააგენტო

თბილისის მერია

2023 წლის ანგარიში

www.kids.org.ge

ეროვნული პარკების ფლორა

218.5 მლნ
ეროვნული

11 800
ადგილობრივ

188
საჯარო ბაღი ბალი

60 000
ადამიანი

დასრულებული ინფრასტრუქტურული პროექტები



130-ე ბაღი

სამგორის რაიონი
300 აღსაზრდელი
პროექტის
ღირებულება 3 695
703,20 ლარი

125-ე ბაღი

ჩუღურეთის
რაიონი
200 აღსაზრდელი
პროექტის
ღირებულება 3 038
003,56 ლარი

108-ე ბაღი

კრწანისის რაიონი
230 აღსაზრდელი
პროექტის
ღირებულება 4 450
000,00 ლარი

89-ე ბაღი

გლდანის რაიონი
500 აღსაზრდელი
პროექტის
ღირებულება 4 408
895,33 ლარი

64-ე ბაღი

სამგორის რაიონი
500 აღსაზრდელი
პროექტის
ღირებულება 4 744
067,76 ლარი

მიმდინარე მშენებლობები

ისანი

N30 საბავშვო
ბაღი
500 აღსაზრდელი
ღირებულება 4
814 048,10 ლარი



ვაზისუბნის
საბავშვო ბაღი
300 აღსაზრდელი
ღირებულება 4
494 067,76 ლარი

N109 საბავშვო
ბაღი
550 აღსაზრდელი
ღირებულება 6
894 439,00 ლარი

სამგორი

ლილოს დასახლება
500 აღსაზრდელი
პროექტის
ღირებულება 6 373
864,00 ლარი

მიმდინარე მშენებლობები

დიდუბის რაიონი
N19 საბავშვო ბაღი
300 აღსაზრდელი
პროექტის
ღირებულება 6 655
667,00 ლარი

ჩუღურეთის რაიონი
N6 საბავშვო ბაღი
450 აღსაზრდელი
პროექტის
ღირებულება 5 313
000,00 ლარი

რეაბილიტაციის პროექტები

კრწანისის რაიონი
N71 საბავშვო ბაღი
450 აღსაზრდელი
პროექტის
ღირებულება2 041
873,00 ლარი

ჩუღურეთის რაიონი
N2 საბავშვო ბაღი
300 აღსაზრდელი
პროექტის
ღირებულება 3 854
086,29 ლარი

განახლების პროგრამა

დაიწყო ბაღების განახლების პროექტი, რომლის ფარგლებში, მასშტაბური სარემონტო/ სარეაბილიტაციო სამუშაოები დაფინანსდა თბილისის რვა საბავშვო ბაღში.

პროექტის მიზანია ყველა ძველი და ახალ აშენებული საჯარო საბავშვო ბაღის აღსაზრდელებისთვის მომსახურების თანაბარ პირობებში გაწევა.

პროექტის ბიუჯეტი 3 186 177 ლარი.

HACCP

თბილისის ყველა საბავშვო ბაგა-ბაღში დაინერგა სურსათის უვნებლობის მართვის საერთაშორისოდ აღიარებული, საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების სისტემის (HACCP) სტანდარტი.

აღნიშნული სტანდარტის დანერგვის მიზნით, 156 საბავშვო ბაგა-ბაღში განხორციელდა სარემონტო სამუშაოები; სამზარეულოები და სამეურნეო დანიშნულების ოთახები/სათავსოები აღიჭურვა ახალი ტექნიკით და ინვენტარით

საზაფხულო ბაღები

კოვიდ პანდემიით გამოწვეული ორწლიანი პაუზის შემდეგ, განახლდა საზაფხულო ბაღების პროექტი,

2023 წლის ივლისში დედაქალაქში 45 საბავშვო ბაღი ფუნქციონირებდა



პერსონალის მხარდაჭერა

HEART

საერთაშორისო ორგანიზაცია SAVE THE CHILDREN-ის მიერ პროგრამა HEART-ის (Healing and Education through Arts) მიხედვით გადამზადდა 150 აღმზრდელი.

HACCP

HACCP-ის სტანდარტების დანერგვის პროცესში, საჭირო გადამზადების კურსი გაიარა შესაბამისმა პერსონალმა

მწვანე ჯილდო

თბილისის სამი საბავშვო ბაღის აღმზრდელი საუკეთესო ათეულში მოხვდა, პირველი ადგილი კი N95 საბავშვო ბაღის აღმზრდელს ერგო

ჰუმანიტარული პროექტები

2023 წელს გაგრძელდა საერთაშორისო ორგანიზაცია SAVE THE CHILDREN-ის მხარდაჭერით დაწყებული ჰუმანიტარული პროექტი თბილისის N1 და N93 საბავშვო ბაღებში. N1 ბაღში კვლავ ფუნქციონირებს „საბავშვო სივრცე“ უქმეებზე, ხოლო N93 ბაგა-ბაღში ე.წ. „ფრესქული“. ორივე პროექტი სკოლამდელი განათლების უკრაინულ ენაზე წარმართვას ითვალისწინებს

სიახლეები

რეგისტრაცია

შეიცვალა რეგისტრაციის წესი, დაემატა პრიორიტეტული ჯგუფები, რეგისტრაცია გახდა 3 ეტაპიანი

ავტორიზაცია

თბილისის საჯარო ბაღებში დაიწყო ავტორიზაციის პროცესი. ყველა მოქმედმა საჯარო ბაღმა დაასრულა თვითშეფასების ეტაპი. რაც გათვალისწინებულია სახელმწიფო კანონმდებლობით

ინკლუზია

ყველა ბაღს ემსახურება მულტიდისციპლინური გუნდი - მეთოდისტი სპეცპედაგოგი, ფსიქოლოგი, ლოგოპედი, ჯანმრთელობის კოორდინატორი

განისაზღვრა პერსონალური ასისტენტის დანიშვნის წესი სსსმ და შშმ აღსაზრდელებისათვის

ღონისძიებების დაფინანსება

თბილისის ყველა საჯარო ბაგა-ბაღს დაუფინანსდა 2023 წლის 18 სექტემბერს ახალი სააღმზრდელო წლის დაწყებისათვის, მასშტაბური გასართობი ღონისძიებების ორგანიზება

ყველა საჯარო ბაღს დაუფინანსდა საახალწლო ღონისძიებების ორგანიზებისათვის საჭირო ხარჯები.

2024

მიმდინარე თვიდან დედაქალაქის ყველა საჯარო ბაღის 11 188 თანამშრომელი

15%-ით გაზრდილ ანაზღაურებას მიიღებს

ანაზღაურების ზრდა

თბილისის ყველა საჯარო ბაღში დასაქმებულ 11 188 თანამშრომელს 2024 წლის იანვრიდან 15 % -ით გგაეზარდა ანაზღაურება

ხაზინის ერთიან სისტემაზე გადასვლა

2024 წლის პირველი იანვრიდან საჯარო ბაღები გადავიდა ხაზინის ერთიან სისტემაზე. საჯარო ბაღებზე გავრცელდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონი.

თბილისის
საბავშვო ბაღა-ბაღების მართვის საგენტო